



გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

შეხვედრის თემა: სექსუალური შევიწროების პასუხისგების სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში

11 მაისი, 2020 წელი

შეხვედრის ოქმი

**შეხვედრის თანათავმჯდომარეები:**

- ეკატერინე ქარდავა, საჯარო სამსახურის ბიუროს უფრო
- ლელა აქიაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე

**სამუშაო ჯგუფის სხდომის მდივანი:**

- გულიკო მაჭარაშვილი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა სამდივნოს სპეციალისტი

**გადაწყვეტილებები/შემდგომი ნაბიჯები:**

- სამუშაო ჯგუფის წევრები გაუზიარებენ უწყებათაშორისი კომისიას სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების მექანიზმების შესახებ არსებულ მასალას. მთავრობის ადმინისტრაცია შეკრებს მასალას.
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია გაუზიარებს სექსუალური შევიწროების ელექტრონული მოდელის მასალას მთავრობის ადმინისტრაციას.
- უწყებათაშორისი კომისია, საჯარო სერვისების ბიუროს და მთავრობის ადმინისტრაციის თანათავმჯდომარეობით ჩამოაყალიბებს საჯარო სექტორში სექსუალური შევიწროების კვლევის მეთოდოლოგიას და გაუზიარებს სამუშაო ჯგუფს.
- მუშაობის პროცესი: არსებული მასალების შეკრება >> უნიფიცირებული მოდელისთვის საჭირო დოკუმენტების იდენტიფიცირება >> შესაბამისი მასალის მომზადება >> უწყებებისთვის მორგებული მოდელის შეთავაზება და მხარდაჭერა მექანიზმების დანერგვაში >> რეაგირების მექანიზმების დანერგვა >> შიდაუწყებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები

## დანართები

დანართი N1. მონაწილეთა სია

დანართი N2. დღის წესრიგი

**დისკუსია.** შეხვედრა გაიხსნა ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველის, **ლელა აქიაშვილის** მისასალმებელი სიტყვით, რომელმაც მადლობა გადაუხადა სამუშაო შეხვედრის მონაწილეებს გამოხატული ინტერესისთვის. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2019 წლის მაისში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით, არა მხოლოდ განიმარტა სექსუალური შევიწროების სამართლებრივი შინაარსი, არამედ, ასევე, გაიწერა საჯარო სივრცესა და კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების კონკრეტული მექანიზმები. მანვე აღნიშნა, რომ მსოფლიოს პრაქტიკა, ასევე, იცნობს სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების შიდაუწყებრივ მექანიზმებს და მისი თქმით, ამგვარი მექანიზმის დანერგვისა და განვითარების პროცესში საკმაოდ პრიორიტეტულია სექსუალური შევიწროების პასუხისგების მექანიზმის დანერგვის სამუშაო ჯგუფის როლი.

მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ლელა აქიაშვილმა სიტყვა გადასცა საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსს, **ეკატერინე ქარდავას**, რომელმაც მიმოიხილა სექსუალური შევიწროების პასუხისგების მექანიზმის მნიშვნელობა საჯარო სამსახურში მყარი ორგანიზაციული კულტურის მხარდაჭერის და მდგრადი კოლეგიალური გარემოს შექმნის პროცესში. მომხსენებლის თქმით, საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ხედვა და პოლიტიკა ამ მიმართულებით არის ერთიანი, შესაბამისად, აუცილებელია არა მხოლოდ უკვე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, არამედ ახალი ვალდებულებების აღება და მუშაობა როგორც სახელშეკრულებო და წინასახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართულებით, ასევე, უკვე პრაქტიკის შეფასების კუთხით. ეკატერინე ქარდავას თქმით, სამთავრობო ანონიმური საიტის ([www.mkhileba.gov.ge](http://www.mkhileba.gov.ge)) გამოყენებით, მხილების ინსტიტუტი შესაძლოა იქცეს სექსუალური შევიწროების პრევენციისა და მასთან ბრძოლის ერთ-ერთ საშუალებად.

აღნიშნულის შემდეგ, სიტყვა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და ხარისხის გამოძიების მონიტორინგის დეპარტამენტის წარმომადგენელს, **იზა კასრელიშვილს**, რომელმაც ისაუბრა სამინისტროს მიერ სექსუალური შევიწროების მექანიზმის დანერგვის კუთხით განხორციელებულ საქმიანობასა და სამომავლო გეგმებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გასული წლიდან დღემდე, დეპარტამენტის თანამშრომლები, გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით, აქტიურად იყვნენ ჩართულნი სამუშაო შეხვედრებსა და სწავლებებში, რომელიც შეეხებოდა სამუშაო ადგილზე სექსუალური შევიწროების პრევენციას და მსხვერპლზე ორიენტირებული სექსუალური შევიწროების

გამოძიებას. მისი თქმით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა შესაბამისი დეპარტამენტის წარმომადგენლებმა 2019 წელს და 2020 წლის დასაწყისში მონაწილეობა მიიღეს სწავლებებში, სადაც სამინისტროს წარმომადგენლებს მიეცათ შესაძლებლობა მიეღოთ ინფორმაცია სხვა უწყებების გამოცდილების შესახებ, მათ შორის, სახალხო დამცველის აპარატისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მხრიდან. მომხსენებლის თქმით, ამგვარ სწავლებებსა და შეხვედრებს ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან, აუცილებელია სამინისტროს ჰქონდეს ზუსტი და რელევანტური ინფორმაცია უშუალოდ მექანიზმზე მუშაობის ეფექტიანობისთვის. სპიკერის თქმით, სამომავლოდ იგეგმება შიდაუწყებრივ დონეზე შეხვედრების გამართვა, რათა დაინერგოს კონკრეტული მექანიზმის მოდელი და განისაზღვროს პასუხისმგებელი და აღმასრულებელი ორგანო. ასევე, იგეგმება გენერალური ინსპექციის წარმომადგენლთა გადამზადება, რომლებიც იმუშავენ სექსუალური შევიწროების გამოძიების კუთხით და ყურადღება აქტიურად გამახვილდება ცნობიერების ამაღლებაზე.

აღნიშნულის შემდეგ, სიტყვა გადაეცა თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელს - **მაკა პეტრიაშვილს**, რომელმაც ისაუბრა სამინისტროს გამოცდილებასა და სამომავლო გეგმებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სექსუალურ შევიწროებაზე რეაგირების პროცესის ეფექტიანად და ნაყოფიერად წარმართვისთვის, უპირველესად, ცნობიერების ამაღლება წარმოადგენს პრიორიტეტულ მიზანს. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ 2018 წლის 28 ივნისს გამოიცა თავდაცვის მინისტრის ბრძანება N 534, რომლის თანახმადაც გენდერული და სექსუალური ხასიათის ძალადობის და შევიწროების პრევენციის მიზნით, ელექტრონული სასწავლო კურსი "სექსუალური შევიწროების აღმოფხვრა სამუშაო ადგილზე" სავალდებულო გახდა და შესაბამისად, აღნიშნული კურსი გაიარა თავდაცვის სამინისტროს ყველა სამოქალაქო პირმა, თავდაცვის ძალების ყველა ოფიცერმა და იმ კაპრალ-სერჟანტებმა, რომლებიც დანიშნული არიან სამეთაურო/საშტაბო თანამდებობებზე. სექსუალური შევიწროების ფაქტებზე რეაგირების და პრევენციის კუთხით, მომხსენებელმა გამოყო თავდაცვის სამინისტროში გენდერული მრჩეველები/გენდერულ საკითხებზე პასუხისმგებელი პირები, როგორც ქვედანაყოფთან უშუალოდ მყოფი პირველი პირები, ასევე გენდერული თანასწორობის მონიტორინგის საბჭო, და განსაკუთრებით, უშუალოდ რეაგირების კუთხით - გენერალური ინსპექცია, სამხედრო პოლიცია.

სიტყვა გადაეცა გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელს - **ანა ფაშალიშვილს**, რომელმაც ისაუბრა გაეროს ქალთა ორგანიზაციის გამოცდილებისა და შემდგომი ნაბიჯების შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 2015 წელს დაიწყო, ხოლო 2016 წელს დასრულდა საქართველოს სახალხო დამცველის აპარატთან ერთად, ელექტრონული კურსის შემუშავება. მისი თქმით, 2017 წელს ჩატარდა ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა, რომლის შედეგების მიხედვით, საქართველოში ქალების 20%-ს გამოუცდია სექსუალური შევიწროება. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებებმა, დეფინიციის განმარტებამ ბევრად უფრო გაამარტივა მუშაობა და გაზარდა მომართვიანობა სექსუალური შევიწროების

ფაქტებთან დაკავშირებით გასაჩივრების მექანიზმების დანერგვის კუთხით. მომხსენებელმა დეტალურად მიმოიხილა სასწავლო ტრენინგებისა და გასაჩივრების მექანიზმების შემუშავების კუთხით, გაეროს ქალთა ორგანიზაციის გამოცდილების შესახებ და აღნიშნა, რომ გაეროს ქალთა ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს როგორც საჯარო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორთან და, ასევე, საუნივერსიტეტო სივრცესთანაც. გარდა ამისა, მომხსენებლის თქმით, ტრენინგებმა მოიცვა მედიის წარმომადგენლებიც. აღნიშნულის შემდეგ, სპიკერმა მიმოიხილა დღეისთვის არსებული რესურსები და აღნიშნა, რომ ოთხივე სექტორისთვის შემუშავებულია გასაჩივრების მექანიზმის სამუშაო ვერსიები, დასრულებულია ელექტრონული კურსი სექსუალური შევიწროების შესახებ და პროცესშია მეორე ელექტრონული კურსის შემუშავება. ანა ფაშალიშვილმა აღნიშნა, რომ სამომავლო ნაბიჯები მოიცავს მსხვერპლზე ფოკუსირებული მოკვლევის პრინციპების შემუშავებას და მომხსენებელმა სურვილი გამოთქვა, რომ სამომავლოდ იარსებებს სატრენინგო მოდული, რომელიც მორგებული იქნება ყველა სექტორისთვის, მათ შორის პროფესიული სასწავლებლებისა და უნივერსიტეტებისთვის.

**ეკატერინე ქარდავამ** აღნიშნა, რომ პრიორიტეტული იქნება ჩატარდეს ანონიმური კვლევა საჯარო სამსახურის მასშტაბით, სექსუალური შევიწროების საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც იქნება სამუშაო პროცესის მიმართულების განმსაზღვრელი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი სექსუალური შევიწროების პრევენციის კუთხით.

**ლელა აქიაშვილმა** აღნიშნა, რომ სატრენინგო მოდულის მიმართულებით მუშაობა იქნება ლოგიკური ნაბიჯი, ხოლო გასაჩივრების მექანიზმის უკვე არსებულ მოდელზე დაშენებით გამოსადეგი იქნება შეიქმნას ერთიანი მოდელი საჯარო სამსახურისთვის, რომელიც მოერგება სხვადასხვა უწყების სპეციფიკას. მისი თქმით, კვლევის ჩატარების შემდეგ, შესაძლოა შეიქმნას ერთიანი სტანდარტი, შემდეგში დაინერგოს აღნიშნული სტანდარტი და თანადროულად წარიმართოს მუშაობა ცნობიერების ამაღლებაზეც.

აღნიშნულის შემდეგ შეხვედრა წარიმართა დისკუსიის ფორმატში და **მაკა პეტრიაშვილმა** აღნიშნა, რომ, ორწლიანი პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ორგანიზაციული კლიმატის კვლევების ჩატარებისთვის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას ისახავდა მიზნად, საერთაშორისო ექსპერტების ჩართულობით, ჩატარდა კვლევა „ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება, საქართველოს თავდაცვის ძალებში ორგანიზაციული ანალიზი“, რომელიც გენდერულ საკითხებს ეხებოდა, მათ შორის, სექსუალური შევიწროების საკითხებსაც. შესაბამისად, ამ გამოცდილებით, ახალი კვლევის ჩატარება, ანონიმურობის დაცვის დათქმით, ნამდვილად ხელშესახები შედეგის მომტანი იქნება იმისთვის, რომ შემუშავდეს მიზანმიმართული და მიზანზე მორგებული მექანიზმები და ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებები.

პროექტის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის მხარდასაჭერად“ წარმომადგენელმა, **მარინა მესხმა**, კომენტარის სახით, გაამახვილა ყურადღება საუნივერსიტეტო სივრცის სპეციფიკაზე და ისაუბრა გენდერული მრჩევლების ინსტიტუტის ან მსგავსი მექანიზმის შექმნის პერსპექტივაზე საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა, **თამთა ჭრიკიშვილმა** აღნიშნა, რომ ინტერესი კვლევის მიმართ ნამდვილად დიდია და არანაკლებ მნიშვნელოვანია ცნობიერების ასამაღლებელი ღონისძიებების გატარება, ვინაიდან ისეთი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებს, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან გამოძიების პროცესში, სჭირდებათ სენსიტიურობის მაღალი სტანდარტი, ცნობიერების გაზრდასთან ერთად.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა **თამარ ვაშაკიძემ** აღნიშნა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ნაბიჯების გადადგმა ნამდვილად შეუწყობს ხელს სექსუალური შევიწროების პასუხისგების მექანიზმის დანერგვის პროცესს. 2017 წელს ჩატარებულ ეროვნულ კვლევასთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ კვლევა ჩატარდა მანამ, სანამ საქართველოში იარსებებდა ცნობილი და გახმაურებული შემთხვევები და მათ შორის, კამპანიები. შესაბამისად, აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ კვლევის განახლებულად ჩატარება უკეთ აღწერს რეალობას. მისი თქმით, მნიშვნელოვანი იქნება, თუკი ჩატარდება ფოკუსირებული შეხვედრა ამ კვლევის მიზნებსა და მეთოდოლოგიაზე.

გაეროს ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელმა, **ანა ფაშალიშვილმა** აღნიშნა, რომ ნებისმიერ სტრუქტურასთან თანამშრომლობისას, უპირველესად ხდება შინაგანაწესის და სტრუქტურული აგებულების გაცნობა და შემდეგში სექსუალური შევიწროების პასუხისგების მექანიზმის დანერგვის პერსპექტივების განსაზღვრა. ამასთანავე, მისი თქმით, აქტიურ სწავლებებსა და ტრენინგს გადიან მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირები, რათა ზუსტად მოხდეს მექანიზმის აღქმა ეფექტიანი დაცვის საშუალებად.

დისკუსიის შემდეგ, **ლელა აქიაშვილმა და ეკატერინე ქარდავამ** შეხვედრა შეაჯამეს, სამუშაო ჯგუფის წევრებს მადლობა გადაუხადეს შეხვედრაზე დასწრებისთვის და შეხვედრა დახურულად გამოაცხადეს.

დანართი N1- შეხვედრის დამსწრეთა სია

|     | სახელი, გვარი      | უწყება   |
|-----|--------------------|--|
| 1.  | გულიკო მაჭარაშვილი | საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, ადამიანის უფლებების დაცვის სამდივნო         |
| 2.  | გვანცა გურგენიძე   | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო   |
| 3.  | იზა კასრელიშვილი   | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო   |
| 4.  | თორნიკე ბეროშვილი  | საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო   |
| 5.  | ეკატერინე ურუშაძე  | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო   |
| 6.  | მაკა პეტრიაშვილი   | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო   |
| 7.  | თამთა ჭრიკიშვილი   | საქართველოს თავდაცვის სამინისტრო   |
| 8.  | ნინო კვირიკაშვილი  | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო                |
| 9.  | თამარ გაგოშიძე     | სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო |
| 10. | მაია დვალიშვილი    | საჯარო სამსახურის ბიურო  |
| 11. | მარიამ ჯაჯანიძე    | საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭო                             |
| 12. | დავით სიმონია      | იურიდიული დახმარების სამსახური   |
| 13. | მირანდა ტყაბლაძე   | საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდი   |
| 14. | ეკატერინე სირაძე   | საჯარო სამსახურის ბიურო  |
| 15. | თამარ ჩხიტუნძე     | ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი                                  |
| 16. | დიანა დავითაძე     | საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი  |
| 17. | მარინა მესხი       | ევროკავშირი გენდერული თანასწორობის უწყებათაშორისი კომისიის მხარდასაჭერად         |
| 18. | ხატია ქარდავა      | გაეროს განვითარების პროგრამა   |

- |     |                 |                          |
|-----|-----------------|--------------------------|
| 19. | ანა ფაშალიშვილი | გაეროს ქალთა ორგანიზაცია |
| 20. | მარი ჯობავა     | გაეროს ქალთა ორგანიზაცია |
| 21. | თამარ ვაშაკიძე  | გაეროს ქალთა ორგანიზაცია |

## დანართი N2 - შეხვედრის დღის წესრიგი



გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა

შეხვედრის თემა: სექსუალური შევიწროების პასუხისგების სისტემის დანერგვა საჯარო სექტორში

11 მაისი, 2020, 12:00

შეხვედრის ოქმი

---

|               |   |
|---------------|---|
| 12:00 - 12:10 | <b>მისალმება</b> <ul style="list-style-type: none"><li>- ლელა აქიაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, კომისიის თავმჯდომარე</li><li>- ეკატერინე ქარდავა, საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი</li></ul>             |
| 12:10 - 12:40 | <b>არსებული გამოცდილება</b> <ul style="list-style-type: none"><li>- იზა კასრელიშვილი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო</li><li>- მაკა პეტრიაშვილი - საქართველოს თავდაცვის სამინისტრო</li><li>- ანა ფაშალიშვილი - გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women)</li></ul> |
| 12:40 – 12:50 | <b>სამომავლო ხედვა</b> <ul style="list-style-type: none"><li>- ლელა აქიაშვილი, პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში, კომისიის თავმჯდომარე</li></ul>  |
| 12:50 - 13:30 | <b>დისკუსია</b>   |

---